ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუთნის-დედა,

## მამულის-მოყვარისათჳს.

ჴელი მოეწერება ტფილისში. ა. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკვირაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ჴელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

«ცისკარზედ» დამატება.

№ 22

ამოკვეთა სორგოს თესვისა სამხრეთის ფრანციაში.

თუმცა ამ სტატიებისა არც ჭო უნდა რწმუნებულ-იყო, არც .არა, მაგრამ რადგანაც მათში ცხადათ და გამოჩენით იყო არიცხული სასარგებლო მხარე, სორგოსი, არ შეიძლებოდა რომ არ მიეზიდნათ მამულის მკეთებელნი, და მართლად სორგოს დათესას ჩუენში მიეცა ხარისხი მამულის უკეთესს მდგომარეობაში მოყვანისა. ეს იყო მიზეზი რომ მამულის მართჳს გამგებლობამ შემომიკვეთა, როცა მივდიოდი ევროპაში, რომ თვალი მედევნებინა მოგზაურობის დროს სორგოს თესვაზედ და შემეტყო ნამდჳლი სარგებლობა ამ მცენარისა ან მთესველისათჳს ანუ სპირტის გამომხდელთათჳს. მე მოვიარე რაც საეკონომიოდ შესანიშნელი ადგილები არის ფრანციაში, ანგლიაში, ბელგიაში, გოლლანდიაში და სხუაგანი, და ვნახე, რომ ამ ქუეყნებში, ფრანციის გარდა, სორგოს უყურებენ როგორც ნუგბარს ჴილსა და ათასში ერთს ძლივ გაუგონია იმისი სახელი. თითო ოროლა კალთას სორგოს ყანისას ნახავს კაცი რეინზე, იმასაც ახლად დათესილსა საქონლის საჭმელად, სპირტის გამოხდა სორგოსგან ფიქრათაც არავისა აქუს; ბელგიაში, გოლლანდიაში და ანგლიაში წა-

თბილისი

მლათ ვერ იშოვნის კაცი სორგოსა, თუ არ ბოთანიკის ბაღებში. კვალი ცოტა რამ გვარიანის სორგოს ყანებისა ვნახე სამხრეთის ფრანციაში, სადაცა ყოფილა სორგოს ბუდე, მას შემდეგ. რაკი გადმოუტანიათ ეს მცენარე ჩინეთიდგან. მაგრამ აქაც კვალის მეტი აღარა იყორა სორგოსი, ამიტომ რომ წლეულ საშინლად დაეცა აქ სორგო და იმედიც აღარ არი რო ადგეს როდისმე. ორანჟისა, არლის, ავითიონის და ტულონის გარშემო ვნახე დაკეტილი სორგოს ზაოდები, რომელთა პატრონები გაკოტრებულან და კელი აუღიათ სორგოსაგან. აქა-იქა სჩანს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სორგოს ყანები, ბედზედ მინდობილი და შამბით სავსე.

მე ძალიან გამიკვირდა, რომ ფრანციაში ამისთანა უბედურება შემთხვევია სორგოსა და ჟურნალებიკი ჩუმათ არიან. მიზეზი სორგოს დაცემისა ისა ყოფილა რასაკვირველია, რომ არ გამართლებულა ის თვსება რომელსაც მოელოდებოდნენ და გამოსჩენია იმისთანა ქინი, რომელსაც არ მოელოდებოდნენ. ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ფრანციაში დიდი მამული იშვათია: ხუთი ექვსი დღის მამული ძლივა აქვს უმეტეს წილსა, და რასაკვირველია ათასში ერთს მამულის პატრონს არა აქვს საკმაო თანხა, რომ სპირტის გამოსახდელი ფაბრიკა გააკეთოს. უმეტეს ნაწილად ისე შვრებიან, რომ იმართება ამხანაგობა თანხის პატრონებისა და ფაბრიკას აშენებენ. სორგოს ანუ სხვას სპირტის გამოსახდელი მცენარისათვს კანტრაქტით ეკვრებიან ფაბრიკის პატრონები მამულის პატრონებსა, რომ ამათ სთესონ მცენარე და მიჰყიდონ ფაბრიკასა. შარშან სორგოს მთესველებმა მოითხოვეს ყველგან ფასის მომატება, რადგანაც შეენიშნათ, რომ სორგო მეტად ასუსტებს მიწასა და ნდომულობს ბევრს სასუქსა. ფაბრიკის პატრონებმაც ვერ შეიძლეს ფასის მომატება, რადგანაც გამოსავალი იმდენი არ იყო სორგოსაგან და თავი დაანებეს სრულებით ამ კელობასა.

ამ გვარათ სორგოს დათესვა სპირტის და ბადაგის გამოსახდელათ ამოჩნდა ამ ცოტა ხანში უსარგებლოდ იმავე ქვეყანაში, სადაცა შამოიღეს თავდაპირველად და საიდგანაც მოეფინა მთელს ევროპას და ჩვენს მხარეს ამბავი სორგოსი და იმის შემკობა. ამოხოცვა ფრანციაში სორგოსი; სადაც ყოველს ნაწილსა ხვნა თესვისას და სხვა კელობაებს გამოიანგარიშებენ ნამდვილის აღებ-მიცემობის წესზედ, და შემოსავალს და ხარჯს სწონენ როგორც სასწორზედ,--ამტკიცებს უეჭველად, რომ გამოცხადებული ჟურნალებში დიდი იმედები სორგოს გამორჩომაზედ ყოფილან წინდაუხედავნი სორგოს თესვით პირველ დროში შაემლოთ სწორედ გამოეანგარიშათ

თუ რამდენს მოსავალს აძლევს სორგო კლერტებითა, ფოთლებითა, თუ თესლეულითა. რამდენი შაქარი არის წუჱნში ან რამდენი სპირტის ანუ მმრის გამოსვლა შეიძლება, რა ისარჯება მოვლაზედ და სხ. მაგრამ მხოლოდ დრო და ჟამმა, ხანგრძლივ გამოცდამა, დიდ ადგილსა თესვამ და ბევრის მოსავლის გამოხდამა შეიძლებს გამოყჩინა, რომ სორგო მეტის მეტათ ასუსტებს მიწასა, მოითხოვს დიდძალს სასუქსა და მალმალე ადგილის ცვლასა; ბოლოს ის ცუდი ზნეცა აქუს, რომ მოკრეფის შემდეგ თუ ორი თთჳს განმავლობაში არ გასწურე, ფუჭდება: თესლს თუმცა ჭუჭამს ჰპრუტეჯ, არა აქუს შესაფერი სარგებლობა, ერთის სიტყჳთ სორგო სპირტის გამოსასხდელად არის ყოვლის მხრით უმდაბლეს ჭარხლისა, კარტოფილისა სორბლის ანუ სიმინდისა.

განუცხადებ კავკაზის მემამულებს ამ საქმესა, მეტყობილსა თავის ადგილს, მაგრამ იმასკი არცა ვკისრულობ, არცა ვბედავ ვთქუა, რომ სორგო ჩუჱნშიაც ისე საზიანოდ გამოჩნდეს აქაც სწორედ იმ გვარი ფათერაკი დაემართოს, როგორც ფრანციაში. გარემოება ჩუჱნის ხუნა თესვისა ძლიერ ბევრით გაირჩევა ფრანციითგან, და შესაძლებელია, რომ სორგომაც აქ სხუა მალა გამოიჩინოს, იქნება ამ მცენარემა ჩუჱნში გაამართლოს ის იმედები, რომლებშიაც მოტყუვდნენ ფრანცუზები. ამ გვარ წინად განზრახვას ვაფუძნებთ მეტადრე იმაზე, რომ ჩუჱნში საზოგადოდ მიწა და რომელიმე შემთხვევაში მეშაცა ისე საფასური არ არის, როგორც ფრანციაში ამას გარდა ჩუჱნ ქუჱყანაში ბევრი იპოება იმისთანა უსჯ და ნაყოფიერი ადგილი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სრულებით არ მოითხოვს სასუქსა. მაგრამ ეს ამბავი უნდა გადაწყდეს ნამდჳლის და დაწვლილებითის გამოცდითა, რომელშიაც არ უნდა იყოს გაშვებული არც ერთი გარემოება ზიანისა და სარგებლობისა. ამ გვარი გამოცდა ჯერ არავის არ გამოუცხადებია ჩუჱნში აქამდის და ამიტომ ვერც ვიტყჳთ სასარგებლოა კავკაზიის მხარეში სორგო თუ არა? მე ვერავის ურჩევ, რომ ჩემგან მოტანილი ამბავი იქონიოს ჴელთ მძღვანველად და თავი დაანებოს სორგოსა; მაგრამ, იმედი მაქუს, რომ ამ ამბავმა სარგებლობა მისცეს ყოველს სორგოს მთესველსა და გააფრთხილოს. ჩემის ჰაზრით, თუმცა სორგოს დაცემა ფრანციაში ვერავის გადაუწყვეტავს იმედს, რომ გამოჩნდეს სასარგებლოდ, მხოლოდ ეს იმედი შეიქნა დიდად საეჭვოდ. კეთილგონიერმა მამულის მკეთებელმა, ამ საქმეს რომ იწყობდეს, არ უნდა დაივიწყოს, რომ თუმცა რომელსამე შემთხვევაში შაგვიძლიან რომ სორგო დავიხვათ ფრა-

ნციაზედ იეფად. სპირტის გამოხდა და ბადაგის შეზავებაკი ყოველთჳს დაგჳჯდება იმათზედ ბევრით ძჳრათ.

ივ. სერებრიაკოვი.

---

## კახეთში აბრეშუმის შემუშავება.

კახეთში, ამ უკანასკნელს დროებაში აბრეშუმის შემუშავება მოვიდა უკეთესს მდგომარეობაში,მოეხსენებათ ყველას,რომ აბრეშუმი ძრიელ საჭირო არის მცხოვრებთათჳს, და რასაც აკეთებენ, უფრო ასმარებენ კახეთში, თავიანთს სახლსა. თჳთქმის ყოველს მამულის პატრონს თავისს ვენახის ლობის გარშემო თუ კარწინ ჰქონდა ჩამწკრივებული თუთები, რომლითაც გამოკვებამდნენ აბრეშუმის ჭიასა. თუ არ იქნებოდა, სამყოფი თავის მამულითგან, მაშინ მოჰქონდათ ტყიდგან გარეული თუთა და იმითი ზრდიდნენ ჭიასა. ჭიის გამოსაზრდელი ალაგი ისეთივე იყო, როგორც პლანტანციები, ჭიებს ინახავდნენ სადაც შეხვდებოდათ: სახლში, ჩარდახში, ჭერქუეშ და სხ.

კახეთის ჯინშის ჭია არის იმ ჯინშისა, რომელსაცა ჰქჳა ქართული და, რომელიცა ეკუთვნის თათრულის ჯინშისას. ამ ჯინშისაგან გამონაცემი აბრეშუმი ძრიელ გვარიანად ფასობს როგორც თჳსებით, ისე რიცხჳთ. არავინ არა ფიქრობდა შემოეტანათ თავიანთში იტალიის ჯინშისა და თავიანთის საკუთრით კმაყოფილნი იყვნენ.

სამი თუ ოთხი სოფელი, ამ შემთხვევაში არ მისდევდა ალაგობრივ ჩჳეულებას და მეცადინეობდა უკეთესს მდგომარეობაში მოეყვანა აბრეშუმის შემუშავება. ამისათჳს ამ სოფელში ნახავდით საკუთრად თუთის ბაღებს, განგებ აბრეშუმის ჭიისათჳს გაკეთებულს ჩარდახებს,სხჳა დანარჩენი სოფლებიკი მისდევდნენ ძჳელებურს ჩჳეულებას.

თუმცა ასე გულგრილად უყურებდნენ კახეთის მცხოვრებნი აბრეშუმის შემუშავებას, მაგრამ შიგ და შიგ მოიპოვებოდნენ იმისთანა მებატონები, რომელნიცა ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ მოეყვანათ ეს უმთავრესი საგანი უკეთესს მდგომარეობაში. 1840 წელიწადს, ცხადად დავინახეთ, როგორ მეცადინეობდნენ ზოგიერთნი მებატონები, გაეღჳძათ ხალხში აბრეშუმის შემუშავების სურვილი, აძლევდნენ სხჳებს მაგალითს, აშენებდნენ დიდს პლანტანციებს და არა ზოგავდნენ ხარჯს, ოღონდკი მოეცათ რამ კახეთისათჳს სარგებლობა,მაგრამ იმითი მეცადინეობა ვერ მოვიდა სისრულეში. პირველად კახეთში

პლანტაცია გამართა, კურთხეულმა გენერალ ლეიტენანტმა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, მაშინდელის დროს პირველმა კახეთის მებატონემ, ამ მებატონის ვენახში, სოფელს ნაფარეულში, დიდის რიცხვთა დგას თუთის ხეები, რომელთაცა უჭირავთ რამდენიმე დესეტინა ადგილი. ამ პლანტაციამ მებატონეს ვერაფერი შემოსავალი მისცა, ომიანობამ დაუშალა ამ განზრახვას სისრულეში მოყვანასა. ეს პლანტაცია, რადგანაც მტრის პირში მდგომარეობდა, იყო განგების სამარას, უკანასკნელს დროებაში ეს პლანტაცია ისევე მოკეთდა. თავადმა დავით ჭავჭავაძემ, რომელიცა მამულის მოვლაში თავის მამაზედ ნაკლებს არა შრომობს, მიაქცია ნაფარეულის პლანტაციას დიდი ყურადღება, და აგრონომის დეიხმანის შეწყობით ისეთს წესში მოიყვანა, როგორც სურდა განსვენებულს იმის მამას. ამ პლანტაციაში აშენებულია ჭიის გამოსაზრდელად ჩარდახი ახალის ფორმაზედ გაკეთებული, რომელშიაც შეიძლება მოთავსდეს სამი გირვანქის თესლის ჭია; პლანტაციისათჳს მოუმატებია ოთხმოცი ათასი თუთის ხე და შენახულია მეტად სუფთად.

მეორე პლანტაცია გაშენებული აქჳს თავადს დიმიტრი აბხაზს **1840** წელიწადში, ელდარზედ, სადაცა ყოვლის ღონისძიებით ცდილობს წარმატებასა, თუმცა ჰაერი იმ ელდარზედ მომაკუდინებელი, ბევრს უშლის.

აი, როგორს მომდინარეობაში ყოფილა და რა წარმატება მიუღია კახეთში აბრეშუმს თხუთმეტის წლის განმავლობაში.

წყნარად მომდინარეობდა ამის წარმატება და მიზეზიც ყოველმა კეთილგონიერმა კაცმა იცის. არ შეეძლო მცხოვრებს გლეხს, სახნავათ გასულიყო უიარაღოთ; არ შეეძლო თავისუფლად შეემუშავებინა მიწა, ისე ყოველს წამს მოელოდა მტერსა.

კახეთში ყოველი მამულის მეპატრონე იმას ფიქრობდა, როგორმე დაეცვა თავისი თავი და სახლობა მტრისაგან, და სადა ჰქონდა იმდენი დრო ეფიქრა მამულის მოვლაზედ. მხოლოდ ის საქმე კეთდებოდა, რაც კარს წინ, რაც ახლოს ჰქონდათ რამე და ისიც მამაპაპურს ჩვეულებაზედ.

კავკასიის დაპყრობის შემდგომს, დიდი წარმატება მოხვდა კახეთში, იმ დროებითგან დიდი ბიჯი გადადგა აბრეშუმის შემუშავებამ, თუთის პლანტაციები მოშენდნენ მეტად ჩქარა.

ამ, აბრეშუმის შემუშავებაში, პირველად მშრომელად გამოვიდა სიღნახის მებატონე თავ. სოლომან ივანეს ძე ანდრონიკოვი, გამოჩენილი კახეთის, მამულის მომვლელი და ახალ-ახალის მოგონების შემოტანის მოსიყვარულე. ამ სამის წლის წინეთა, თავის ბაღში ჩაყარა თუთის ჩხები, რა არის შე-

ვიტყო, მართლა რა შემოსავალი აქუსო. გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ სასარგებლო არის და უოვლის ღონისძიებით მეცადინეობს, წარმატება უფრო და უფრო მისცეს. ახლა თ. ს. ანდრონიკოვს ორი პლანტანცია აქუს: პირველს პლანტანციაში უდგას სამოცდა ათი ათასი თუთის ხე. ეს ხეები თათრულად არიან ჩაყრილნი, ლინიებით, ერთი ერთმანერთზედ ახლოს, ამას გარდა შიგ ხეივნებშიაცკი არის ჩაყრილი, ღობეების გარშემო და ზოგი ერთის ალაგს, ჩამწკრივებულნი არიან თუთის ხეები; მჟორეში, რომელიცა გაშენებულია შარშან, დგას ოთხმოცი ათასი ხე, იმ გვარად, რა გვარადაც აშენებენ ნუსში.

თ. ანდრონიკოვის შრომის მოყვარეობამ მარტო ეს ვერ იკმარა; იმან დააფუძნა კომპანია თავისს მეზობელთ მებატონებთაგან, თავისავე ზედა მხედველობით. იმის აზრი იყო, გაეშენებინა მრავალი პლანტანციები, სადამდინაც ღონე და შეძლება მისცემდა ნებას; თჳთოეულს მებატონეს უნდა მიეცა მუშა, ფულის სარჯიკი იყო თჳთან იმისი ასე რომ, ბოლოს შემოსავლითგან თავისი დანახარჯი მიელო, ჩუენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქუათ, რომ ეს უფალი კამპანიორები დიდხანს არა სცხოვრებდნენ იმ წრეში თანხმობით, და ორის წლის განმავლობაში ეს საზოგადოდ სასარგებლო საქმე მოიშალა.

თუთის ხეების განმრავლებას, უმეტესად თ. სოლომან ანდრონიკოვის სოფლის გარშემო, დიდად უშლის წყალის ნაკლულევანება.

კახეთის გაღმა მხრივ, თუთის განმრავლებას უოველი ღონისძიება აქუს: აღგილობრივი მთის წყაროები, ვრცელი დაქანებული მინდორი, სოფლის სიახლოვეს, რომელთაცა ესმისთ საკმაოდ ჭიის აღზრდის კელი.

პირველად, ამ მხარეზედ გამოიჩინა შრომა აბრეშუმის შემუშავების შესახებ გენერალ მაიორმა თ. სჳმონ შალიკოვმა. იმის საკუთარს ბაირამკალის მამულში ახლა დგას სამასი ათასზედ მეტი თუთის ხე. იმ გვარად არიან ჩაყრილნი, რა გვარათაც ჩაყრილნი არიან ნუხში.

სადაც ველური მხარეა, იქ დიდს წარმატებაში მიდის აბრეშუმის შემუშავება, ამ ალაგებში თუთის ხეები იზრდებიან უხვად. ზაქათალის მაზრა, ამ საგნისათჳს, ჩინებული მხარეა.

სიჩქარით მაღალის თუთების აღზრდამ თ. შალიკოვს მისცა სურვილი და მომავალის წლისათჳს აპირებს გავრცელებას. მომზადებული აქუს სამასი ათასი თუთის ხე, არა ასარებსრა და არ გაზდის მაღე, ხშირად მორწეჳს მეტი.

თ. შალიკოვის მაგალითის ჩუენება, იმედი გვაქუს არ დარჩება უნაყოფოთ. მრა-

ვალნი სსჳანიცა, ალაზანის გალმა, შეუდგებიან იმის მაგალითს

კახეთის, იორის მანდორზედ ისივე წარმატება მიიღო აბრეშუმის ჭიისათჳს პლანტაციებმა, როგორც ალაზანის პირებზედ. ეს მდიდარი მხარე, თავისში მცხოვრებთ მლივსა ზრდის და ინახავს, მაგრამ უოველი მჴრფასი ღირსება აქუს სიმდიდრის შესახებ: შეაგულს მომდინარეობს არხში წყალი, რომელიცა აბრუნებს წისქვლებსა და მაგდენს შემოსავალს არ აძლევს, მამულის მოვლას.

გამოჩენილმა მებატონემ გენერალ ლეიტენანტმა თ. ივანე მალხაზის მემ ანდრონიკოვმა მიაქცია ყურადღება ამ მინდორს. თავისის წისქვლების ახლოს ჩაარევინა წრევანდელს წელიწადს სამს დესიატინა მიწაზედ ასი ათასი თუთის ხე, ნუხის ჩვეულებაზედ და ისე ისეირეს, რომ ორის წლის შემდგომს შეიძლება ისმარებოდეს, ჭიის გამოსაზრდელათ.
ჩუენ შევიტყეთ, ვითომც თ. ივ. მალხ. ანდრონიკოვს განზრახვა აქუს, არხის პირათ ჩაჭყაროს თუთის ხეები ათი ათასამდინ. ნუხში კიდეც შეუმზადენებია.

ცხადია, რამდენიც თუთის ხეები მომატებულათ ჩაიყრებიან, იმდენი ჭჳავაც გამოიცვლება რადგან ცოტათი არარის, რომ ციავ ცხელებიანი ალაგია.

მრიელ გვიხარის, რომ უკანასკნელს სამს წელიწადში კახეთში მრიელ შეიცვალა აბრეშუმის შემუშავება. თუთის ხეები ამ სამის წლის განმავლობაში ჩაყრილან ოცდა ხუთს გირვანქის ჭიისათჳს. ეს წარმატება დიდი რამ არის, ამ მოკლეს დროში.

ამ წარმატებას მოჰყუა, იტალიურის ფორმის აბრეშუმის გამოხვევა.

ჩუენ დარწმუნებით შევიტყეთ, რომ შედგენილან კომპანიები, რომელნიცა აპირებენ აბრეშუმის ქარხანის გამართვასა, ჩუენ მოველით თჳთან იმათგან შევიტყოთ უოველი დაწვლილებით და მაშინათვე ვაცნობებთ «გუთნის-დედის» მკითხველთა.

---

### ტფილისის ვისტავკა (ჴელთა ნაწარმოების გამოფენა.)

**15** ნოემბერს, შუადღიდგან ერთს საათზედ. მამულის მოვლის საზოგადოების სადგომში გახსნეს ვისტავკა, კავკაზიის მხრის ჴელთა ნაწარმოევისა.

პირველად გადიხადა პარაკლისი, მისს ბრწყინვალების კნიაზის გრიგოლ დიმიტრის მის ორბელიანის თანადასწრებით,

მაღალ ყოვლად უსამღჳდელოესობამ საქართველოს ექზარხოსმან ევსევიმ. აქ შეყრილიყვნენ მაღალის თანამდებობის ჩინოვნიკები და გარეშე ხალხი. ჰარაკლისის შემდეგ აიზმა აცხურა ყოველს ოთახებს, სადაცა აწყჳან კელთა ნაწარმოევნი, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამან.

ვრცელად აღწერა ამ გამოფენაზედ იქნება შემდგომში, მხოლოდ ამასკი მოვიხსენიებთ, რომ განსაკუთრებითი ყურადღება ხალხმა მიაქცია სხჳა და სხჳა ქჳებზედ უ. ბაიერისა, რომელსაცა შეუკრებია მთელის ათის წლის განმავლობაში, სხჳა და სხჳა კავკასიის მხრებიდგან. ვსწუხვართ რომ ეს ქჳები სულ ერთიან არ იყვნენ გამოფენილნი, რადგანც ვიწროობა იყო. ზოგიერთი ბოსტნეული ჩინებულია; აბრეშუმის ნაწილიც აგრეთვე კარგია; სხჳა და სხჳა კელობის კელთა ნაწარმოები თუმცა სრულად არ არიან, მაგრამ მდიდრულად კი არიან გამოწყობილნი. ბაღეული აგრეთვე კარგია. ღჳნო ნიმუშათ ბევრი არ არის გამოგზავნილი. ხორბალი და ხორბლეული მრიელ მომატებით არიან წარმოდგენილნი, ამათგანი რომელნიმე ღირსნი არიან ყურადღებისა.

ხალები, რომელშიაც გამოფენილნი არიან კელთა ნაწარმოევნი, ჩინებულათ არიან გამართულნი.

ჩჳენა გვსურდა დაგვერიგებინა სია, რაც რამ კელთა ნაწარმოევნი არიან გაგამოწყობილნი, მაგრამ უ. ეფიანჯიანის ტიპოგრაფიამ თავისის უყურადღებლობით დააგვიანა დაბეჭვდა: ვეცდებით კი მალე, წავკითხოთ მსურველთა.

ამასთანავე უნდა დაუმატოთ, რომ ყოველს შეუძლიან ვისტავკის ნახვა ათის საათიდამ დილისა, შუადღის სამ საათამდინ. როდესაც გამოვა ვისტავკიდგან მნახველი, მიეცემა უფასოთ კელთა ნაწარმოევის სია.

---

## განცხადება.

გამოიცა ქართულ ფრანცუზული ლექსიკონი, შედგენილი ივ. როტინიანცისაგან, რომელიცა ისყიდება ყოველს ტფილისის წიგნების მაგაზიაში და თჳთან ჰყიდის ავტორიცა, რომელიცა დგას შუაბაზრის ბოლოს უფ. პავლევის სახლებში. ფასი არის სამი აბაზი.

Одобрено Цензурою. Тифлисъ. 15 Ноября. 1862.

რედ. კერესელიძე.